ARDI

WELCOMER

TRAVEL IN GEORGIA INSURANCE POLICY

WELCOMER - შიდა ტურების დაზღვევის პოლისი

სს „არდი დაზღვევას“ შიდა ტურისტული ჯგუფების დაზღვევის პოლისი WELCOMER ითვალისწინებს საქართველოში მოგზაურობის დროს გადაუდებელ სამედიცინო ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

WELCOMER X-TREME - ექსტრემალური შიდა ტურების დაზღვევის პოლისი

ჯომარდი
პარაპლანი
სნოუბორდინგი
სათხილამურო ტური

ალპინ-ტური
ჯიპ-ტური
მოტო-ტური
ველო-ტური

ჯირითი
თევზაობა/ნადირობა
ყვინთვა
სპელეო-ტური

მათ ვისაც უყვარს მძაფრი შეგრძნებები, იზიდავს ბუნების მიუდგომელი ადგილები და სამოყვარულო ექსტრემალური სპორტი, **სს „არდი დაზღვევა“** სთავაზობს სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურების დაზღვევის პოლისს

Welcomer X-treme.

დატკბით უნიკალური ქართული ბუნებით, ესტუმრეთ კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს, ისიამოვნეთ სათავგადასავლო ექსკურსიებით და იყავით მშვიდად. ექსტერემალური ტურის პერიოდში თქვენს ჯანმრთელობაზე ჩვენ ვიზრუნებთ.

დაზღვეულთა საყურადღებოდ!

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან პრობლემის წარმოქმნისას, გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს 24/7 სამედიცინო ასისტანსს სატელეფონო ნომერზე **T: 0322101010** რომლის დაფარვის ზონა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თქვენ შეძლებთ მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურებები:

- სატელეფონო სამედიცინო კონსულტაცია;
- ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულების შესახებ;
- როგორც მკურნალობის პროცესსა და ხარისხზე, ასევე ფინანსურ დოკუმენტაციაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება;
- გადაუდებელი ამბულატორიული, ჰოსპიტალური ან სტომატოლოგიური მომსახურების ორგანიზება;
- საჭიროების შემთხვევაში დაზღვეულის ინფორმირება საქართველოში ვაქცინაციის პუნქტების შესახებ.

ძირითადი სადაზღვევო დაფარვები BASIC INSURANCE COVERAGES	WELCOMER		WELCOMER X-treme	
24/7 სამედიცინო ასისტანსი 24/7 Medical Assistance	100%	ულიმიტო Unlimited	100%	ულიმიტო Unlimited
გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება Urgent In-patient Care	100%	ულიმიტო Unlimited	100%	ულიმიტო Unlimited
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება Urgent Out-patient Care	100%	1 000₾	100%	2 000₾
სასწრაფო სამედიცინო დახმარება Emergency/Ambulance Services	100%	ულიმიტო Unlimited	100%	ულიმიტო Unlimited
გადაუდებელი სამედიცინო ევაკუაცია Emergency Medical Evacuation	100%	ულიმიტო Unlimited	100%	ულიმიტო Unlimited
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება Urgent Dental Care	100%	1 000₾	100%	2 000₾
დამატებითი დაფარვები ADDITIONAL COVERAGES				
რეპატრიაცია Repatriation	100%	1 500₾	100%	1 500₾
ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება Lawyer Services	100%	1 000₾	100%	1 000₾
თარჯიმნის ხარჯების ანაზღაურება Translator Services	100%	500₾	100%	500₾
ტურისტის სამოქალაქო პასუხისმგებლობა Tourist Civil Liability	100%	5 000₾	100%	5 000₾
ტურისტის პირადი ნივთების დაზღვევა Tourist Personal Belongings Insurance	100%	1 000₾	100%	1 000₾
პოლისის ჯამური ლიმიტი POLICY AGGREGATE LIMIT	30 000 ₾			

შენიშვნა | NOTE:

65 წელს ზემოთ მყოფი დაზღვეულთათვის ანაზღაურდება გაწეული ხარჯების 50%
For policyholders over 65 years, 50% of total expenditures shall be reimbursed

დამატებითი დაფარვები ძალაშია მხოლოდ პოლისში შესაბამისი გრაფების მონიშვნის შემთხვევაში
Additional coverages are valid only, if the relevant graphs are marked in the policy

გეოგრაფიული დაფარვა: საქართველო, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა
Geographical coverage: Georgia, except occupied territories

1 დაზღვევის სუბიექტი

1.1 წინამდებარე დაზღვევის პირობებით დაზღვევის სუბიექტია, საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მოგზაურობისას საქართველოს მოქალაქეები ან უცხოელი ტურისტები და მათი ჯანმრთელობის დაზღვევა, სადაზღვევო პოლისისა და ამ პირობების შესაბამისად.

2 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე მზღვეველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს დამზღვევს (დაზღვეულს) შემდეგი ძირითადი და დამატებითი მომსახურებები:

პოლისის ძირითადი დაფარვები:

- **24 საათიანი საინფორმაციო-საკონსულტაციო, საორგანიზაციო მომსახურება**
  ითვალისწინებს 24 სთ-ის მანძილზე კვალიფიციური, შეუზღუდავი, სადღეღამისო სატელეფონო, საინფორმაციო, საორგანიზაციო კონსულტაციას, სრული და ოპერატიული ინფორმაციის მიწოდებას სადაზღვევო პროგრამების, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებისა და კოორდინირების შესახებ. აღნიშნული გულისხმობს დაზღვეულის მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, როგორც მომსახურების პროცესზე და ხარისხზე, ასევე სამედიცინო და ფინანსურ დოკუმენტაციაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფას.

- **გადაუდებელი ამბოლატორიული მომსახურება**
  აღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული იმ სამედიცინო ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის გადავადების პირობებში გარდაუვალია დაზღვეულის სიკვდილი, ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება და რომელიც დაზღვეულს გაეწევა სამედიცინო დაწესებულებაში **24 საათზე ნაკლები ვადით** დაყოვნებისას. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისას სადაზღვევო შემთხვევად ჩაითვლება:

  - ✓ ტრამვები: ჭრილობის ქირურგიული დამუშავება და გაკერვა, მოტეხილობის რენტგენოლოგიური კვლევა და მობილიზაცია.
  - ✓ ანტირაბიული და ანტიტეტანური ვაქცინაცია (ვაქცინაცია და სამედიცინო მომსახურება)
  - ✓ მოწამვლა, კუჭის ამორეცხვა და ინფუზიური თერაპია.
  - ✓ ჰიპერთერმია: თერაპევტის კონსულტაცია, ანტიპირეტული მკურნალობა.
  - ✓ თერმული დაზიანება-მოყინვა ან დამწვრობა: დაზიანებული უბნის ქირურგიული დამუშავება ან შეხვევა.
  - ✓ სისხლდენა: ტამპონადა, კოაგულანტები.
  - ✓ თირკმლის, აბდომინალური და ნაღვლკენჭოვანი კოლიკა: ექიმის კონულტაცია, ანალგეზური და სპაზმოლიტიკური საშუალებები.
  - ✓ ბრონქული და კარდიალური ასთმის შეტევა: მედიკამენტოზური თერაპია, შეტევის კუპირება.
  - ✓ ალერგიული რეაქცია: ანტიალერგიული მკურნალობა
  - ✓ ტკივილის სინდრომი: ტკივილის კუპირება, ბლოკადა.

- **ურგენტული/გადაუდებელი ჰოსპიტალური (სტაციონალური) სამედიცინო მომსახურება**
  ანაზღაურდება სრულად, პოლისის ლიმიტის საერთო ფარგლებში. ითვალისწინებს პოლისის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოულოდნელ გაუარესებასთან დაკავშირებულ სამედიცინო ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის გადავადების პირობებში გარდაუვალია დაზღვეულის სიკვდილი, ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვმნელოვანი გაუარესება და რომლის დროსაც დაზღვეულის სტაციონარში განთავსება აუცილებელია **24 საათზე მეტი ვადით.** გადაუდებელი სტაციონალური მომსახურება მოიცავს შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით, სამკურნალო-დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევების და მკურნალობის გარანტირებული მოცულობის უზრუნველყოფას.

- **სასწრაფო დახმარების მომსახურება**
  ანაზღაურდება 100%-ით ლიმიტის გარეშე. აღნიშნული ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მომსახურებას, ტრანსპორტირებასა და საჭიროების შემთხვევაში ევაკუაციას სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებებით.

- **გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება**
  ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული ან მის გარეშე გადაუდებელ სტომატოლოგიური მომსახურების ანაზღაურებას: ტკივილის კუპირებას და ექსტრაქციას.

პოლისის დამატებითი დაფარვები:

ძალაშია, მხოლოდ პოლისში შესაბამისი გრაფის მონიშვნის და დამატებითი პრემიის გადახდის შემთხვევაში

- **რეპატრიაცია**
  დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში მისი დაბრუნება, ან გარდაცვალების შემთხვევაში მისი ნეშტის გადასვენება სამშობლოში პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

- **ადვოკატის მომსახურება**
  სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით, თუ საჭიროა დაზღვეულის მიერ ადვოკატის დაქირავება მისი ინტერესების დასაცავად სასამართლოში, სადაზღვევო კომპანია მოახდენს პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში საკუთარი შეხედულებისამებრ კვალიფიციური ადვოკატის მოძიებას და დაქირავებას.

- **თარჯიმნის მომსახურება**
  სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით, თუ საჭიროა დაზღვეულის მიერ თარჯიმნის მომსახურების მიღება, სადაზღვევო კომპანია მოახდენს პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში საკუთარი შეხედულებისამებრ კვალიფიციური თარჯიმნის მოძიებას და დაქირავებას.

- **ტურისტის სამოქალაქო პასუხისმგებლობა**
  აღნიშნული დამატებითი დაფარვა გულისხმობს, ტურისტის არაგანზრახი ბრალით მიყენებული ფიზიკური და მატერიალური ზიანის კომპენსაციას მესამე პირების ჯანმრთელობის, სიცოცხლის ან ქონების მიმართ, პოლისში განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

  აღნიშნული დამატებითი დაფარვის ფარგლებში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა შემდეგი წესით:

(ა) **ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში** – სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ, სამედიცინო დაწესებულებაში გაწეული გადაუდებელი და შემთხვევასთან პირდაპირ დაკავშირებული გეგმიური სამედიცინო მომსახურების და ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ოდენობა, წარმოდგენილი ფორმა #100 ა-ს, სამედიცინო დანიშნულების და ფინანსური დოკუმენტაციის მიხედვით; დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

(ბ) **გარდაცვალების შემთხვევაში** – ლიმიტის ფარგლებში სრულად, რომელიც ნაწილდება გარდაცვლილის მემკვიდრე(ებ)ზე წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობის, სამკვიდროს მოწმობის და საჭიროების შემთხვევაში სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

(გ) **ქონების დაზიანების შემთხვევაში:** თუ ქონება აღდგენადია – აღდგენის ღირებულებით, შესაბამისი ინვოისის საფუძველზე (ტრანსპორტირების, ჩამოტვირთვისა და მონტაჟის ხარჯების ჩათვლით, მაგრამ დღგ-ს გარეშე), გამოცვლილი ნაწილების მზღვეველისთვის გადაცემის ან დადგენილი წესით განადგურების პირობით;

თუ ქონება აღდგენადი არაა ან დაკარგული აქვს სარეალიზაციოდ ვარგისი სასაქონლო თვისებები (განადგურება) – ანალოგიური ქონებით ჩანაცვლებით, ქონების საინვოისო ღირებულებასა და სარეალიზაციოდ ვარგის ნარჩენთა ღირებულებას შორის სხვაობის ანაზღაურებით, ან ქონების საინვოისე ღირებულებით (ტრანსპორტირების, ჩამოტვირთვისა და მონტაჟის ხარჯების ჩათვლით, მაგრამ დღგ-ს გარეშე), ამ ქონების მზღვეველისთვის გადაცემის ან დადგენილი წესით განადგურების პირობით.

- იმ ზიანზე/შემთხვევაზე, როდესაც დგინდება, რომ დამზღვევს ბრალი არ მიუძღვის (დამზღვევი მასზე პასუხისმგებელი არაა), ან რომელიც დაზღვეული რისკი არაა, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.
- თუ ზიანზე პასუხისმგებელმა პირმა დაზარალებულ მესამე პირს ზიანი სრულად ან ნაწილობრივ აუნაზღაურა, მაშინ სადაზღვევო ანაზღაურება, შესაბამისად, არ გაიცემა ან გაიცემა აუნაზღაურებელი ნაწილი.

■ ტურისტის პირადი ნივთების დაზღვევა

გულისხმობს ტურისტის პირადი ქონების გატაცება/მითვისებას, ქურდობა/ძარცვა ყაჩაღობის შედეგად, პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა ერთ სადაზღვევო შემთხვევაზე. ამასთან, შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას თუ არ არის დადასტურებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ და შემთხვევას არ ჰყავს თვითმხილველი (არ არსებობს ბრალეული მხარე). პირველი სადაზღვევო შემთხვევისას ფრანშიზა არ გამოიყენება. განმეორებით სადაზღვევო შემთხვევაზე მოქმედებს ფრანშიზა - 20% ზიანის თანხიდან.

პირადი ნივთების ქვეშ იგულისხმება მობილური ტექნიკა, კერძოდ - მობილური ტელეფონი, პლანშეტი, ლეპტოპი და ფოტოაპარატი.

2.2 სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული გადაუდებელი, ამბულატორიული, სტაციონარული და უბედური შემთხვევით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების საჭიროებისას ან/და დამატებითი დაფარვებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეული (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ 24 საათის განმავლობაში აცნობოს მზღვეველს. რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი აწარმოებს ანგარიშსწორებას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთან ან დამზღვევთან. გამონაკლისის შემთხვევაში, ობიექტური მიზეზების არარსებობისას, დაშვებულია შეტყობინების გარეშე მიღებული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, თუ დაზღვეული მზღვეველს წარუდგენს სადაზღვევო პოლისს, დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით გაცემულ სამედიცინო ფორმა #100/ა-ს და სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტის ორიგინალს (სალაროს ქვითარი და ჩეკი). აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. მზღვეველი აანაზღაურებს ხარჯებს მხოლოდ საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში.

2.3 სადაზღვევო ანაზღაურებისას, მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დამატებითი დოკუმენტაცია (მაგალითად: ცნობა სამართალდამცავი ორგანოებიდან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში და ა.შ).

3 სადაზღვევო პრემია

3.1 სადაზღვევო პრემია განისაზღვრება ყოველდღიურად ტურის (ექსკურსიის) ხანგრძლივობის და ტიპის შესაბამისად. ჯამური სადაზღვევო პრემია ფიქსირდება სადაზღვევო პოლისში.

3.2 სადაზღვევო პრემიის გადაცემის გადახდა ხორციელდება სადაზღვევო პოლისის შეძენისთანავე.

3.3 დამზღვევის ინიციატივით, წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, გადახდილი სადაზღვევო პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4 სამოგზაურო დაზღვევის პოლისით WELCOMER, არ იფარება შემდეგი სახის მომსახურებები:

- ✓ პოლისის ძალაში შესვლამდე არსებული დაავადებების და მდგომარეობების (მათ შორის ქრონიკულად მიმდინარე) და მათი გამწვავებების ხარჯები, გარდა გადაუდებელი, სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობისა;
- ✓ სამედიცინო ხარჯები, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შესატანის არ გადახდის ან/და არასრულად გადახდის შემთხვევაში;
- ✓ მზღვეველის შეტყობინებისა და დასტურის გარეშე ჩატარებული სამედიცინო ხარჯები;
- ✓ სხეულის განზრახ თვითდაზიანებით გამოწვეული დაავადებათა მკურნალობის ხარჯები, როდესაც დაზღვეული განზრახ იგდებს თავს საფრთხეში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მოქმედებს სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, თვითმკურნალობის ხარჯები, არატრადიციული მედიცინის (აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, მანუალური თერაპია, სუჯოკთერაპია და ა.შ) ხარჯები.
- ✓ ბიოლოგიურად აქტიური ან/და კვებითი დანამატების, პირადი ჰიგიენის ან/და მოვლის საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ✓ პროფესიული და სარისკო სპორტის სახეობებში მონაწილეობის შედეგად საჭირო მკურნალობის ხარჯები (გარდა Welcomer X-treme პოლისით გათვალისწინებულისა);
- ✓ ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასა და ტოქსიკომანიასთან დაკავშირებული ხარჯები. ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული ნივთიერებ(ებ)ის ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალებების მართვისას მომხდარი შემთხვევით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯები.
- ✓ ეგზო და ენდოპროთეზებთან, ასევე მაკორეგირებელი დანიშნულების სამედიცინო მოწყობილობებთან, ორგანოთა ტრანსპლატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ოპერაციული და არაოპერაციული ჩარევის დროს.
- ✓ მხედველობის კორექციასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის ექსიმერ-ლაზერით ჩატარებული მკურნალობის ხარჯები, სათვალეების, ლინზებისა და სმენის აპარატის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ✓ თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებების ხარჯები;
- ✓ კოსმეტიკური მკურნალობის, პლასტიკური ქირურგიის ხარჯები, წონის კორექციასთან დაკავშირებული ხარჯები.
- ✓ უნაყოფობის, პოტენციის დარღვევის დიაგნოსტირების და მკურნალობის ხარჯები, აბორტის ხარჯები, კონტრაცეფციის ხარჯები, ხელოვნური განაყოფიერების, რეპროდუქტოლოგიის ხარჯები;
- ✓ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ხარჯები;
- ✓ ფსიქიური დაავადებების, სარეაბილიტაციო მკურნალობის, მასაჟისა და ფსიქოთერაპევტის მომსახურების ხარჯები;
- ✓ სამედიცინო ხარჯები, გამოწვეული შიდსის, ვირუსული ჰეპატიტის მკურნალობისას;
- ✓ მკურნალობის ხარჯები, რომელიც საჭირო გახდა დაზღვეულის ომში, აჯანყებაში, სამოქალაქო არეულობაში ან კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- ✓ თუ დაზღვეული ან დამზღვევი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე პირობას;
- ✓ მზღვეველი უფლებამოსილია გადაამოწმოს სადაზღვევო შემთხვევისა და დანახარჯების სისწორე.

5 დასკვნითი დებულებები

5.1 სადაზღვევო პოლისი მოქმედებს სამოგზაურო ტურის (ექსკურსიის) პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება პოლისში მითითებულ დღეს და ძალაშია პოლისში მითითებული დღის ჩათვლით.

5.2 თუ ამ სადაზღვევო პირობების რომელიმე მუხლი, პუნქტი ან დებულება შეიცავს ხარვეზს ან ბათილია, ეს არ მოახდენს გავლენას სადაზღვევო პირობების სხვა მუხლის, პუნქტის ან დებულების მოქმედებაზე.

5.3 ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობისას, მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებათა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეწყდება ამგვარი გარემოებების ლიკვიდაციამდე.

5.4 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა ან/და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. ამ გზით ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

WELCOMER - DOMESTIC TRAVEL INSURANCE
TRAVEL INSURANCE FOR FOREIGN AND LOCAL TOURISTS VISITING GEORGIA

JSC ARDI Insurance domestic travel insurance policy **WELCOMER**, is designed to provide financial cover for emergency medical care or accident while traveling in Georgia.

WELCOMER X-TREME - EXTREME DOMESTIC TRAVEL INSURANCE POLICY

Rafting
Paragliding
Snowboarding
Ski touring
Alpine touring
Jeep tour
Motorcycle touring
Bicycle touring
Horseback riding
Fishing / hunting
Diving
Caving tour

For those who prefer thrill-seeking activities, exploring hard to reach locations and amateur extreme sports, **ARDI Insurance** offers adventure and extreme travel insurance policy - **Welcomer X-treme.**
Enjoy breath-taking nature of Georgia, visit cultural and historical monuments, enjoy adventure tours and stay calm. We will take care of your health during the extreme tour.

IMPORTANT INFORMATION FOR THE INSURED!

If you have any questions or concerns about your health, please call our Hotline Medical Assistance 24/7 at **T: 0322101010**, the coverage area of which is the entire territory of Georgia. You can receive the following services:

- Medical advice via phone;
- Information regarding contractor medical facilities;
- Supervision and quality monitoring over treatment process itself, as well as financial documentation;
- Organizing Ambulance crew services;
- Providing urgent out-patient, in-patient or dental care;
- Informing the Insured about vaccination centers in Georgia, if necessary.

BASIC INSURANCE COVERAGES	WELCOMER		WELCOMER X-treme	
24/7 Medical Assistance	100%	Unlimited	100%	Unlimited
Urgent In-patient Care	100%	Unlimited	100%	Unlimited
Urgent Out-patient Care	100%	1 000GEL	100%	2 000GEL
Emergency/Ambulance Services	100%	Unlimited	100%	Unlimited
Emergency Medical Evacuation	100%	Unlimited	100%	Unlimited
Urgent Dental Care	100%	1 000GEL	100%	2 000GEL
ADDITIONAL COVERAGES				
Repatriation	100%	1 500GEL	100%	1 500GEL
Lawyer Services	100%	1 000GEL	100%	1 000GEL
Translator Services	100%	500GEL	100%	500GEL
Tourist Civil Liability	100%	5 000GEL	100%	5 000GEL
Tourist Personal Belongings Insurance	100%	1 000GEL	100%	1 000GEL
POLICY AGGREGATE LIMIT	30 000 ₾			

PLEASE NOTE:

For policyholders over 65 years, 50% of total expenditures shall be reimbursed.
Additional coverages are valid only, if the relevant graphs are marked in the policy.
Geographical coverage: Georgia, except occupied territories.

1 SUBJECT OF INSURANCE

1.1 Under the terms of this insurance, the subject of insurance is Georgian citizens or foreign tourists and their health, insurance during a tourist trip on the territory of Georgia, in accordance with the insurance policy and these terms and conditions.

2 RIGHTS AND OBLIGATIONS OF THE PARTIES

2.1 Based on the payment of the insurance premium by the Policyholder, the Insurer undertakes to indemnify the Policyholder (Insured) for the following basic and additional services:

BASIC INSURANCE COVERAGES:

- **24-hour information-consulting, organization service**
  Provides qualified, unlimited, telephone, information, organization consultation, complete and operative information on insurance programs, organization and coordination of medical services within 24 hours. This includes providing supervision over the process and quality of service, as well as medical and financial documentation, if necessary.

- **Urgent Out-patient Care**
  This coverage includes a set of medical measures related to the deterioration of the Insured's health during the insurance period, rendered to the Insured, which by medical evidence requires staying at the medical facility for less than 24 hours, the delay of which will lead to death, disability or significant deterioration of health status of the Insured. Urgent Out-patient Care shall include the following insured events:

  - ✓ Traumas: wound suturing and surgical treatment, X-ray examination and mobilization of the fracture.
  - ✓ Rabies vaccination and Tetanus vaccination (vaccination and medical care).
  - ✓ Poisoning: gastric lavage and infusion therapy.
  - ✓ Hyperthermia: therapeutic consultation, antipyretic treatment.
  - ✓ Thermal injury – freeze or burn: surgical treatment or bandaging of the damaged area.
  - ✓ Bleeding: tamponade, coagulants.
  - ✓ Renal, abdominal, and biliary colic: medical consultation, analgesics and antispasmodics.
  - ✓ Attacks of Bronchial asthma and cardiac asthma: drug therapy, relief of attack.
  - ✓ Allergic reaction: anti-allergic treatment.
  - ✓ Pain syndrome: relief of pain, blockade.

- **Urgent In-patient Care**
  Shall be reimbursed in full, within the total limit of the policy. This service includes a set of medical measures related to the sudden deterioration of the Insured's health during the insurance period, rendered to the Insured, which by medical evidence requires staying at the medical facility for **more than 24 hours**, the delay of which will lead to death, disability or significant deterioration of health status of the Insured. Urgent In-patient Care shall include, by medical evidence, a guaranteed volume of medical and diagnostic, laboratory, instrumental examinations and treatment.

- **Emergency/Ambulance Services**
  Shall be reimbursed 100% unlimited. This includes the services and transportation of licensed emergency team and, if necessary, evacuation by land-vehicles across the territory of Georgia.

- **Urgent Dental Care**
  Provides reimbursement for urgent dental care caused by accident/or not during the insurance period: pain relief and extraction.

ADDITIONAL INSURANCE COVERAGES:

are valid only, if the relevant graphs are marked in the policy and additional premium is paid.

- **Repatriation**
  In case of a sharp deterioration of health, transportation of the Insured or, in the event of death, transportation of his/her corpse to the homeland within the limits provided for by the policy.

- **Lawyer Services**
  In case of a sharp deterioration of health, transportation of the Insured or, in the event of death, transportation of his/her corpse to the homeland within the limits provided for by the policy.

- **Translator Services**
  In case of the insured event, if the Insured needs to hire a Translator, the insurance company shall find and hire a qualified Translator at its own discretion within the limit stipulated by the policy.

- **Tourist's Civil Liability**

  This additional coverage includes compensation for physical and material damage caused by unintentional action of the tourist to the health, life or property of the third parties within the limit stipulated by the policy.
  Within the mentioned additional coverage, the insurance indemnity shall be given as follows:

  (a) **In case of damage to health** – the volume of emergency medical services provided by the ambulance team at the medical facility and planned medical treatment directly related to the accident and the costs of medications prescribed by the doctor, based on the Form # 100a, medical and financial documents submitted; The documents must be accompanied by an identity document;

  (b) **n case of death** – fully within the limit, distributed to the heir(s) of the deceased on the basis of the Death Certificate, Certificate of Inheritance and, if necessary, Forensic Report issued by the authorized authorities presented. The documents must be accompanied by an identity document of the deceased.

  (c) **In case of damage to property:** if the property is subject to restoration - at the cost of restoration, on the basis of the relevant invoice (including transportation, unloading and installation costs, but excluding VAT), provided that the replaced parts are transferred to the Insurer or destroyed;

  If the property is beyond repair or has no relevant commodity properties (destruction) - by replacement with similar property, by reimbursing the difference between the invoice price of the property and the price of waste suitable for sale, or at the invoice price of the property (including transportation, unloading and installation costs, but excluding VAT), provided that the replaced parts are transferred to the Insurer or destroyed;

  - If the Policyholder is not considered at fault for the damage / accident (the Policyholder is not responsible for this), or the risk is not covered, the Insurer shall be exempt from liability.
  - If the person responsible for the damage has fully or partially compensated for the damage to the third party, the insurance indemnity is not given or the unpaid part is compensated accordingly.

- **Tourist Personal Belongings Insurance**

  This coverage includes misappropriation of the tourist personal belongings as a result of theft / robbery and burglary, within the limit set by the policy, but not more than 500 (five hundred) GEL per insured event. In addition, the event shall not be indemnified if it is not confirmed by law enforcement agencies and there is no witness of the accident (no guilty party). The deductible does not apply to the first insured event. In the case of repeated insured event, the deductible is 20% of the of damage amount.

  Personal belongings include mobile devices, such are: cell phones, tablets, laptops, and cameras.

2.2 If urgent, outpatient, inpatient, or accident-related medical care is required under the insurance policy, and / or if an insured event with additional coverages occurs, the Insured (or his/her representative) shall be obliged to notify the Insurer within 24 hours. On the basis of which the latter makes payments to health care provider or Policyholder. In exceptional cases, in the absence of objective reasons, expenses for services rendered may be reimbursed without notice, if the Insured submits an insurance policy, an identity document of the Insured, a medical form # 100 /A issued by a medical institution and an original document certifying payment for medical care (cash register receipt and check). These documents shall be submitted no later than 30 (thirty) calendar days after receiving medical care. The Insurer shall reimburse the Insured for the cost only if the required documents are fully submitted.

2.3 When paying the insurance indemnity, the Insurer has the right to request any additional documentation related to the insured event (for example: a certificate from the law enforcement agencies in case of deterioration of the health caused by a traffic accident, etc.).

INSURANCE PREMIUM

3.1 The insurance premium is determined on a daily basis depending on the duration and type of the tour (excursion). The total insurance premium is specified in the insurance policy.
3.2 Insurance premium is paid upon purchase of the insurance policy.
3.3 In case of unilateral termination of this Agreement by the Insurer, the insurance premium paid is not refundable.

4 WELCOMER POLICY DOES NOT COVER:

- Pre-existing diseases or physical conditions (including chronic) and exacerbations, except urgent, life-threatening condition;
- Medical expenses, in case of non-payment and / or incomplete payment of the insurance premium by the Policyholder;
- Costs of medical care provided without the Insurer's confirmation;
- Expenses for treatment of diseases caused by intentional self-injury, when the Insured deliberately puts himself/herself in danger, except when s/he acts to save someone else's life, self-treatment costs, non-traditional medicine (Acupuncture, Homeopathy, Manual Therapy, Sujok Therapy, etc.) costs.
- Costs related to the purchase of biologically active and / or nutritional supplements, personal hygiene and / or care products;
- The costs of treatment required as a result of participation in professional and extreme sports (except for the types provided for in Welcomer X-treme);
- Costs related to alcoholism, drug addiction and substance abuse. Costs of treating injuries incurred while driving under the influence of alcoholic, narcotic, toxic or psychotropic substance(s).
- Costs related to external or endo-prosthesis, as well as corrective medical devices, organ transplantation, surgical and non-surgical interventions.
- Costs related to vision correction, including excimer-laser costs, costs related to the purchase of glasses, lenses and hearing aids;
- Congenital and genetic diseases;
- Costs of cosmetic treatment, plastic surgery, costs related to weight correction.
- Costs for diagnosis and treatment of infertility, potency disorders, the costs of abortion, contraception, artificial insemination, reproductive medicine;
- Sexually transmitted diseases;
- Costs of mental illness, rehabilitation treatment, massage and psychotherapy services;
- Medical expenses incurred in the treatment of AIDS, viral hepatitis;
- Treatment costs incurred as a result of participation in war, rebellion, civil unrest, or criminal activity, as well as medical care costs incurred during the period of imprisonment;
- If the Policyholder or the Insured violates any of the conditions provided for in in this Agreement;
- The insurer has right to verify the accuracy of the insured event and expenses.

5 FINAL PROVISIONS

5.1 The insurance policy is valid during the travel (excursion) period, which begins on the day specified in the policy and is valid until the day specified in the policy.

5.2 If any article, paragraph or provision of these insurance terms and conditions is or becomes illegal or invalid, that shall not affect the validity of any other article, paragraph or provision of this agreement.

5.3 In the event of force majeure circumstances, the fulfilment of obligations under this agreement shall be postponed until the liquidation of force majeure.

5.4 The Parties shall make every effort to amicably resolve any disagreement and/or dispute between them regarding their cooperation under this Agreement. In case of disagreement, the dispute shall be resolved in the Court of Georgia, in accordance with the legislation of Georgia.